

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



გარედან ჩასაცმელი ტანსაცმელი (CPV-18200000);

ქურთუკები (CPV-18210000); შარვლები (CPV-18234000);

უმსყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

თბილისი

2013 წელი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

იურიდიული პირებისათვის და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

ფიზიკური პირებისათვის:

- ა) პირადობის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ასლი;
- ბ) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოწმობის ასლი.

2. ტექნიკური პირობები

2.1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტია ქურთუვი და შარვალი (სპორტული) – 18 000 (თვრამეტი ათასი) კომპლექტი.

2.2. ტექნიკური დავალება

2.2.1. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლებია:

ა) სპორტული ქურთუვი

- თავისუფალი სტილის იკვრება წინ ელვაშესაკრავით;
- კალთაზე მუშავდება გვერდის გაჭრილი ჯიბეები ფურცლაკით საყელო დგარი, სახელო რეგლანი, სახელოს ბოლო მუშავდება მანჯეტით რეზინაზე.
- ქურთუვის ბოლოზე გაყრილია მოსაჭიმი თასმა ფიქსატორით.
- ქურთუვი უნდა იყოს ბადე სარჩულით;

ბ) სპორტული შარვალი

- ჩაშვებული გვერდის გაჭრილი ჯიბეებით წელის ხაზზე ჩაკერებული ქამრით რეზინაზე, მოსაჭიმი თასმა ფიქსატორით. შარვალი იკვრება ელვაშესაკრავით, ქამარზე ერთი ღილით ერთ ღილკილოზე;
- შარვალი უნდა იყოს ბადე სარჩულით

❖ კომპლექტისთვის გამოყენებული ქსოვილი

- ფერი - მუქი ლურჯი ან შავი;
- მასალა - პოლიესტერი 100%

2.2.2. შემსყიდველის მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, პრეტენდენტმა უნდა წამროადგინოს მოსაწოდებელის საქონლის ნიმუში, რომელზეც გაცემულია წინამდებარე სატენდრო დოკუმენტაციის 3.4. პუნქტით მოთხოვნილი ლაბორატორიული დასკვნა. ნიმუში დალუქული უნდა იყოს კვლევის ჩამტარებელი ლაბორატორიის მიერ და მას უნდა ერთვოდეს 3.4. პუნქტით განსაზღვრული დასკვნის დედანი.

2.3. მიწოდების პირობები

2.3.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის** განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 15 დეკემბრისა;

2.3.2. მიწოდების ადგილი: **დაბა ვაზიანი.**

2.4. ანგარიშსწორების პირობები:

2.4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში;

2.4.2. ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარი ანგარიშსწორებისთვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.5. სატენდერო წინადადების ფასი:

სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და გადასახადის გათვალისწინებით.

2.6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

ხელშეკრულების გაფორმებამდე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა, სულ მცირე, 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

3. პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტები*:

3.1. ტანსაცმლის მიწოდების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტები, საქონლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი, შესყიდვების ელექტრონული სისტემის მონაცემები SPA ნომრები).

მიმწოდებელს 2012-2013 წლების განმავლობაში ჯამურად უნდა გააჩნდეს არანაკლებ 100 000 ლარის ღირებულების ტანსაცმლის მიწოდების გამოცდილება.

3.2. რეკვიზიტები დანართი №1-ის შესაბამისად.

3.3. მოსაწოდებელი საქონლის დეტალური აღწერილობა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მახასიათებლებთან.

3.4. წარმოსადგენ საქონელზე ჩატარებული ლაბორატორიული დასკვნა, რომლითაც დასტურდება შემსყიდველის მიერ ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი შემადგენლობა (პოლიესტერი 100%).

***შენიშვნა:** ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე

4. პროტენდენტის რეკვიზიტები.

პროტენდენტმა სისტემის გამოყენებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი რეკვიზიტები:

პროტენდენტის რეკვიზიტები:

- პროტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- პროტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი;
- პროტენდენტის ტელეფონის/ფაქსის ნომერი;
- საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- საიდენტიფიკაციო კოდი.

საბანკო რეკვიზიტები:

- ბანკის სახელწოდება;
- ბანკის კოდი;
- პროტენდენტის ანგარისწორების ანგარიში;
- მომსახურე ბანკის მისამართი.

5. საკონტაქტო პირები სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ განმარტებებისათვის

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში.

წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, გენ. გ. კვინიტაძის ქ. №20.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

გიორგი ირემაძე

ტელ: 2 91 03 54;

მობ: 577 19 66 19;

ელ. ფოსტა: giremadze@mod.gov.ge

დავით გრიგოლაშვილი

ტელ: 2 91 03 54;

მობ: 577 39 08 98;

ელ. ფოსტა: dgrigolashvili@mod.gov.ge

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომლის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № -----

ქ. თბილისი

«-----» ----- 2013 წ.

შემსყიდველი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ზაზა ბროლაძის სახით.

მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20.

სკ. 204900483.

საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№200122900 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კოდი TRESGE22

მიმწოდებელი –

მისამართი, ტელეფონი:

(იურიდიული და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის, საფოსტო, ელექტრონული მისამართები, ფაქსის ნომერი ოფიციალური შეტყობინებისთვის)

ხელმძღვანელი:

საბანკო რეკვიზიტები:

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი SPA -----

(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა, კლასიფიკატორის კატეგორიის, ქვეკატეგორიის, კლასის, ჯგუფის ან დანაყოფის კოდი)

სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, მხარეები შევთანხმდით შემდეგ ზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“, ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულების დანართ(ებ)ის შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ----- ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, ტრანსპორტირებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.

3.2. საქონლის ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების დანართ(ებ)ით.

4 ანგარიშსწორება

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

4.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (საბანკო გადარიცხვა).

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების ----- %-ის ოდენობით (ავანსი), მიმწოდებლის მიერ ამავე ოდენობის თანხაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან --- სამუშაო დღის ვადაში.

4.5 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და მისი მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 დღით უნდა აღემატებოდეს.

4.6 თუ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება გარანტიის ვადის ამოწურვამდე შესრულდა, გარანტიის (მათ შორის შესრულებული ვალდებულების ნაწილში) მოქმედების ვადა შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს ან შემცირდეს, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში.

5 სტანდარტები

5.1. ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ სტანდარტებს.

6 საპატენტო უფლებები

6.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

7 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს:

7.1.1. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – შესრულების ვადების, მიწოდების ადგილის, მიღება-ჩაბარებისა და საქონლის ხარისხის კონტროლის საკითხებზე;

7.1.2. სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – 7.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე.

7.2 კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

7.2.1 ხელშეკრულების პირობებთან მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;

7.2.2 საქონლის მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;

7.3 კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

7.4 კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.

7.5 კონტროლის განხორციელებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 22-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

8. საქონლის მიწოდების პირობები

8.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 15 დეკემბრისა.

მიწოდების ადგილი: **დაბა ვაზიანი.**

9. ხარისხი

9.1. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებს, პარამეტრებს.

10. გარანტია

10.1 მიწოდებული საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების (ვარგისობის) საგარანტიო ვადა შეადგენს არანაკლებ 8 თვეს, რომელიც აითვლება მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

10.2 თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან 5 დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) შემსყიდველის შეტყობინება და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 10 დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შეცვალოს დეფექტური ნაწილი/საქონელი, ან დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა.

11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

11.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 7.1.1. პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

11.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისათვის საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.

11.3 საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

11.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:

11.4.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და

11.4.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და

11.4.3. მიწოდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და

11.4.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და

11.4.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და

11.4.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

11.6. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

11.7. მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის) საქონელი.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია შეადგენს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% და მისი მოქმედების ვადა 30 დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

12.2. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ან პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს თავისი, როგორც საბანკო გარანტიის ბენეფიციარის უფლებები, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

13. უფლებების გადაცემა

13.1. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო

შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

15.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.6. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

16.1.1. საქონლის მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.2. თუ მიმწოდებელს შემსყიდველისაგან მიღებული აქვს ავანსი და ამ ხელშეკრულებას ამოეწურა ვადა მათ შორის შეწყდა ვადადღე, მაშინ:

16.2.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში დაუბრუნოს შემსყიდველს ავანსი (მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული და შესრულებული ნაწილის გამოკლებით);

16.2.2. წინასწარი შეტყობინების გარეშე, 16.1 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დამატებით, დაეკისრება შემსყიდველისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ავანსად მიღებული და ავანსიდან შეუსრულებელი თანხის 3%-ის ოდენობით ავანსის მიღების დღიდან თანხის ფაქტობრივად დაბრუნებამდე ყოველ თვეზე (არასრული თვე დაანგარიშდება პროპორციულად, დღეების მიხედვით).

16.3. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:

16.3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

16.3.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 16.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;

16.4. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 2 %-ისა.

16.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისას შემსყიდველი უფლებამოსილია, გამოიყენოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

16.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

16.7. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

16.8. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის გამო დღეების მიხედვით პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ ხორციელდება ან დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამი იქნება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ზე ნაკლები, მიმწოდებელს დაეკისრება მხოლოდ ფიქსირებული პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადადღე შეწყდეს:

- ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
- ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ/ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ -- დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

17.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

- ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);
- ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

17.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

18. ფორს-მაჟორი

18.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

18.2. „ფორს-მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

18.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

18.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

18.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

19. სადაო საკითხების გადაწყვეტა

19.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

19.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

21. შეტყობინება

21.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

22. სხვა პირობები

22.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის ———

22.2. ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

22.3. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

22.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ——— ეგზემპლარად.

შემსყიდველის მხრიდან:

.....

მიმწოდებლის მხრიდან:

.....